system net

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბ-ნ გიორგი არველაძეს

განმცხადებელი: შპს „სისტემ ნეტ“-ი
მის: ქ.თბილისი, ჯიქიას ქ. №16

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

კომისიის № 605/9 გადაწყვეტილების თანახმად წარმოგიდგენთ შპს „სისტემ ნეტ“-ის მოწვევის ოფერტას, ვინაიდან შპს „სისტემ ნეტ“-I წარმოადგენს ს.ს. „ეგრისის“ უფლებამონაცვლეს.

დანართი: მოწვევის ოფერტა.

პატივისცემით

დირექტორი

ი.ინჯია

12.12.08

ფაქსიმილე №6/2862-08
16 12 2008
115

შპს „სისტემ ნეტ“-ის ინტერნეტის ქსელით
მომსახურების მიწოდების შეთავაზება
(მოწვევის ოფერტა)
(თანახმად ეროვნული კომისიის №605/9 გადაწყვეტილებისა)

1. ტერმინთა განმარტება:

ა) ლოკალური ინტერნეტი – მხარის ქსელში განთავსებულ სერვერზე არსებული საზოგადო რესურსი, (მათ შორის ინტერნეტ გვერდები, ინტერნეტ საინფორმაციო მომსახურების სახეები, სერვერზე განთავსებული ყველა ინფორმაცია).
ბ) საერთაშორისო ინტერნეტი – ინტერნეტ რესურსი, რომელიც განთავსებულია საქართველოს გეოგრაფიულ საზღვრებს გარეთ;
გ) პირდაპირი ურთიერთჩართვა – ერთი მხარის დაშვება მეორე მხარის ლოკალურ ინტერნეტთან;
დ) ტრანზიტი – არაპირდაპირი დაშვება მესამე ოპერატორის ქსელში განთავსებულ სერვერებზე არსებულ საზოგადო რესურსთან, მხარის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.
ე) ავარია – მხარის ტექნიკური საშუალებ(ებ)ისა და/ან მოწყობილობ(ებ)ის მწყობრიდან გამოსვლა, მხარის ბრალეული (განზრახვა, გაუფრთხილებლობა) ქმედების გარეშე და ფორს-მაჟორული გარემოების არ არსებობისას;

2. ურთიერთჩართვის წერტილია – ქ. თბილისი ჯიქიას ქ.16

3. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვა ხორციელდება მხარეთა მიერ თავიანთ ქსელში საჭირო სიმძლავრის საკომუნიკაციო პორტების გამოყოფით. TCP/IP პროტოკოლის გამოყენებით, Ethernet ტექნოლოგიით. შპს „სისტემ ნეტ“-ის მიერ გამოყენებულია CISCO-ს მიერ წარმოებული აპარატურა. ურთიერთჩართვის მოთხოვნის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია, გამოიყენოს იგივე ან თავსებადი მწარმოებლის აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა.

4. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის მოთხოვნის შემთხვევაში, „სისტემ ნეტ“-ი ურთიერთჩართვის წერტილში, გამოყოფს სათანადო სიმეტრიულ პორტს, რომლის გამტარუნარიანობა განისაზღვრება 2 მბიტ/წმ საკომუნიკაციო ექვივალენტით (გარდა კომისიის №469/16 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ავტორიზებული პირებისა, რომელთანაც ჩართვა უნდა განხორციელდეს 1გბ/წმ სიმძლავრით).

5. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის არხზე ინტერნეტ ტრაფიკის პაკეტების გადაცემის გარანტირებული ხარისხის მახასიათებლად განისაზღვროს: IP პაკეტების დანაკარგების დასაშვები დონე – 1%-ი; გადაცემული პაკეტების დაყოვნების დრო – 50 მილი/წმ;

გადაცემული პაკეტების დაყოვნების საშუალო სტატისტიკური გადახრის საზღვრები – 40 მილი/წმ. ტესტირების მინიმალური დრო 1 სთ.

6. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთშართვის ინტერფეისის დეტალური აღწერა მოცემულია ამავე ოფერტის მე-3 პუნქტით.

7. მხარეები უზრუნველყოფენ მარშუტიზაციას, რომელითაც შესაძლებელი იქნება ერთმანეთის ქსელში არსებულ IP მისამართებთან მომხმარებელთა შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული დაშვება.

8. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის შესახებ წერილობითი მომართვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში „სისტემ ნეტ"-ი მსურველ მხარეს აცნობებს ურთიერთჩართვის საჭირო საშუალებების არსებობის შესახებ.

9. ურთიერთჩართვის საჭირო საშუალებების არსებობის შემთხვევაში, მხარეთა შორის, 5 სამუშაო დღის ვადაში, გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

10. ინტერფეისის მუშაობის ტესტირებას და ქსელების ურთიერთოპერაბელურობის ორგანიზებას მხარეები მოახდენენ ტექნოლოგიურად უმოკლეს ვადებში.

11. მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო გონივრულ ზომებს, რათა უზრუნველყონ ურთიერთჩართვის საექსპლუატაციო უსაფრთხოება, ურთიერთჩართვის წერტილებში არსებულ მხარეთა კუთვნილ მოწყობილობებზე.

12. ამ მოწვევის ოფერტის მე-4 პუნქტით განსაზღვრული გამტარუნარიანობის გაფართოების მსურველი მხარე, წერილობით მიმართავს მეორე მხარეს. წერილობითი მიმართვა უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ურთიერთჩართვის არხზე არსებული დატვირთვის და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ.

13. მეორე მხარის დასაბუთებული მიმართვა გამტარუნარიანობის გაზრდის შესახებ განიხილება და მასზე პასუხი გაეცემა, მიმართვის რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, რომლის დროსაც მხარეები ჩაატარებენ ექსპერტიზას ხარისხის იმ მაჩვენებლების გათვალისწინებით, რაც მოცემული ამ მოწვევის ოფერტის მე-5 პუნქტში.

14. მხარეთა ტექნიკური საშუალებების ურთიერთჩართვა ხორციელდება ფიზიკური თანალოკაციის პრინციპით, რისთვისაც „სისტემ ნეტ“-ი ნებას რთავს მეორე მხარეს:

ა) მოათავსოს შესაბამის ურთიერთჩართვის წერტილში ასეთი მომსახურებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებები (ზღვრული სიმძლავრით, რომელიც საჭიროა მხოლოდ მხარეთა შორის ლოკალური ინტერნეტის ურთიერთჩართვისათვის და არ მოიცავს საერთაშორისო ინტერნეტის კავშირებს) გამოყოფილ სათანადო სიდიდის ფართობზე;

ბ) თანალოკაციისათვის გამოყოფილ ფართზე შევიდეს, დაამონტაჟოს და შეაკეთოს ურთიერთჩართვისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებები, „სისტემ ნეტ“-ის მიერ დადგენილი პირობების თანახმად.

15. ავარიის შემთხვევაში (ანუ მხარეთა ტექნიკური საშუალებების ისეთ დაზიანებას, რაც არ არის გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოებებით), მხარე, რომლის ტექნიკური საშუალებებიც გამოვიდნენ მწყობრიდან დაუყოვნებლივ ატყობინებს მეორე მხარეს ავარიის შესახებ და იღებს ყველა ზომას, რათა 12 სთ-ს განმავლობაში ან აღმოფხვრას ავარიის შედეგები, ან სხვა საშუალებებით და გზებით აღადგინოს ურთიერთჩართვა.

16. შპს „სისტემ ნეტ“-ი უზრუნველყოფს პირდაპირ გაფართოებულ ურთიერთჩართვას, ხოლო ტრანზიტული ურთიერთჩართვა ხორციელდება დამატებითი შეთანხმებით.

17. მხარეთა შეთანხმებით, ყოველი გამოყოფილი 2 მეგაბტ/წმ ექვივალენტური პორტისთვის (გამტარუნარიანობის სიმძლავრესთვის) მხარეები ანგარიშსწორებას მოახდენენ 5000 ლარის ოდენობით 1 გიგაბიტ/წმ გამტარუნარიანობის შესაბამისად გამოყოფილ სიმძლავრეზე დღგ-ს გარეშე, პროპორციული გადანაწილებით რეალურ გამოყოფილ სიმძლავრეზე.

18. მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერ შემთხვევაში გაწეული მომსახურება ერთმანეთის ტოლფასია და ანგარიშსწორება მოხდება ურთიერთგაქვითვის პრინციპის საფუძველზე, კერძოდ ანგარიშფაქტურების გაცვლის საფუძველზე, რომელიც მხარეებს წარედგინებათ საანგარიშო თვის მომდებნო თვის 15 რიცხვამდე.

19. რეალურად გამოყოფილი სიმძლავრის ოდენობა და ფასი განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების დანართით.

20. მხარეები თანხმდებიან, რომ გაცვლიან იმ ტექნიკურ და ქსელის სხვა მონაცემებს, რომლებიც საჭიროა წინამდებარე ხელშეკრულების

21. მუხლით დადგენილი ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის მქონე ურთიერთჩართვის უზრუნველსაყოფად. ამასთან, ერთ-ერთი მხარის მიერ მიწოდებული ნებისმიერი სახის მონაცემი ჩაითვლება კონფიდენციალურად და წარმოადგენს მომწოდებელი მხარის საკუთრებას. ეს მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნენ მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რისთვისაც ისინი იქნენ მიწოდებული.

22. მხარეები არ არიან უფლებამოსილნი მეორე მხარის ნებართვის გარეშე გადასცენ მესამე პირს ზემოხსენებული მონაცემები, თუ კანონის საფუძველზე არ არსებობს ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება.

23. ინფორმაციის მიწოდების პერიოდულობა განისაზღვრება მხარეთა საჭიროების მიხედვით. მეორე მხარის მიერ ინფორმაციის მიწოდების შესახებ განცხადების მიღების შემთხვევაში, სათანადო ინფორმაცია უნდა გაიცეს არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა.

24. რაიმე შეზღუდვის ან 5-ე პუნქტში გათვალისწინებული პარამეტრების ცვლილების შემთხვევაში, „მხარე" დაუყოვნებლივ აცნობებენ ამის შესახებ მეორე „მხარეს" წერილობით, ელექტრონული შეტყობინების ან სატელეფონო შტყობინების სახით, ხოლო მეორე მხარე (თუ ეს გაუმართაობა დაკავშირებული არ არის მხარეებს შორის შემაერთებელი საკაბელო მეურნეობის დაზიანებასთან) ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, მომდევნო სამი საათის განმავლობაში უზრუნველყოს მომსახურების სრულად აღდგენა. თუ მხარე არ უზრუნველყოფს მომსახურების სრულ აღდგენას, იგი ვალდებულია მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით გადაუხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიურად გადასახდელი თანხის 0.05%-ი ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე, მომსახურების სრულ აღდგენამდე.

25. თუ მხარეებს შორის დაზიანებულია დამაკავშირებელი საკაბელო მეურნეობა და ამის გამო შეფერხებულია მათ შორის კავშირი, მხარეები უზრუნველყოფენ თავიანთი საკაბელო მეურნეობაზე არსებული გაუმართაობის აღმოფხვრას, ამის შესახებ მეორე მხარისთვის წერილობით ან ელექტრონული შეტყობინების გაგზავნიდან 8 საათის განმავლობაში. თუ მხარე არ უზრუნველყოფს მომსახურების სრულ აღდგენას იგი ვალდებულია მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით გადაუხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიურად გადასახდელი თანხის 0.05%-ი ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე, მომსახურების სრულ აღდგენამდე.

26. ამ მოწვევის ოფერტის მე-15 მუხლით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ან/და მეორე მხარის მხრიდან ურთიერთჩართვის აღდგენისათვის ხელისშეშლის შემთხვევაში, მხარე რომლის მიზეზითაც ვერ ხერხდება ურთიერთჩართვის აღდგენა, მეორე მხარეს ზიანის ანაზღაურების სახით გადაუხდის ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე 1000 (ათას) ლარს.

27. არც ერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მეორე მხარის ან მისი კლიენტის მიმართ ნებისმიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ზარალზე ან ზიანზე, გარდა ამ მოწვევის ოფერტით გათვალისწინებულისა.

28. წინამდებარე მოწვევის ოფერტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

29. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები. კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულებას სუბიექტების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს. თუ ნებისმიერმა ზემოთნახსენებმა გარემოებამ უშუალოდ იმოქმედა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება.

30. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, აცნობოს მეორე მხარეს.

31. შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში უნდა დასტურდებოდეს.

32. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 15 დღეზე მეტხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ გაფორმებული ხელშეკრულების ბედი.

32. პირდაპირ გაფართოებულ ურთიერთჩართვის ხელშკრულებაში ნებისმიერი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენელიბის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე.

33. ოფერტის მოქმედების ვადაა 6 თვე.

დირექტორი _____ ი.ინჯია